

# პროფესიული ორიენტაციის კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებისა და განვითარების პერსპექტივები

გიორგი ძიძიგური, თინათინ დათიაშვილი,  
შორენა გონგლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## რეზიუმე

განხილულია პროფესიული ორიენტაციის კვლევისა და განვითარების ასპექტები. კერძოდ, თუ რამდენად განაპირობებს ინდივიდის კარიერულ განვითარებას მისი პროფესიული კონცეფცია, კონკრეტული ნიჭი რაიმეს მიმართ, მისწრაფებები, მოტივები და ფასეულობები. წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც ხაზს უსვამს ადრეულ ასაკში შესაძლებლობათა და მიდრეკილებების შესაფერისი პროფესიის შერჩევის აუცილებლობას ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით. განხილულია შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებისა და განვითარების პერსპექტივები.

**საკვანძო სიტყვები:** პროფესიული ორიენტაცია. „კონცეფცია-მე“. კარიერული ორიენტაცია. კარიერული ღუზა. პროფესიული ინტერესების კვლევა. პროფესიული ინტერესების კვლევა

## 1. შესავალი

პროფესიული ორიენტაციის განვითარების, აგრეთვე, მისი თვითრეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია პროფესიული თვითგამორკვევა და კარიერის წარმატებული დაგეგმვა. ადამიანის პროფესიული საქმიანობის, მისი პროფესიული გზის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი არის მისი წარმოდგენა საკუთარ პროფესიაზე, ე. წ. პროფესიული „კონცეფცია-მე“, რომელსაც თითოეული პროფესიონალი ეყრდნობა კარიერის დაგეგმვის პროცესში. ზოგადად, საკუთარი კარიერის დაგეგმვის დროს რომელიმე პროფესიისთვის უპირატესობის მინიჭებისას, პროფესია ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას „ვინ ვარ მე?“. ამასთან, ძალზე ხშირად, ადამიანი პროფესიული ორიენტაციის რეალიზებას შეუგნებლად აკეთებს [1,2].

ნებისმიერ ადამიანს ახასიათებს გარკვეული პროფესიული კონცეფცია, კონკრეტული ნიჭი რაიმეს მიმართ, მისწრაფებები, მოტივები და ფასეულობები, რასაც ის ადვილად ვერ შეეღებება კარიერული გზის არჩევისას. წარსული ცხოვრებისეული გამოცდილება აფორმირებს ფასეულობათა სისტემას, რომელზედაც ინდივიდი ორიენტირებული, მის სოციალურ დამოკიდებულებას კარიერისა და ზოგადად სამუშაოსადმი. ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში ეს კონცეფციები ცნობილია „კარიერული ორიენტაციის“ ან „კარიერული ღუზის“ (Career Anchor) სახელწოდებით. კარიერული ორიენტაცია განისაზღვრება როგორც წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, მოტივებზე, ღირებულებებზე, კონკრეტული პროფესიული საქმიანობის არსსა და მოთხოვნილებებზე, როგორც „კონცეფცია - მე“-ს უმნიშვნელოვანეს შემადგენლებზე [3,4].

## 2. ძირითადი ნაწილი

ადამიანის სურვილები და შესაძლებლობები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, თუ ორ პროფესიას არჩევანის გაკეთება უწევს პროფესიათა ერთიდაიმავე

სიმრავლიდან, მათი არჩევანი, სავარაუდოდ, განსხვავებული იქნება, ვინაიდან არჩევანს განაპირობებს ინდივიდუალური ინტერესები, შესაძლებლობები და გარემო. ინდივიდის ინტერესების კვლევა არის ერთ-ერთი გზა, რომელიც კვლევის ობიექტის უნიკალურობას ითვალისწინებს. თუ უნარებისა და პიროვნული თვისებების კვლევის სატესტო მეთოდები იძლევა ინფორმაციას პიროვნების შესაძლებლობების შესახებ, ინტერესების კვლევის კითხვარები აზუსტებს იმას, თუ რისი კეთება ურჩევნია მას, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამის შესაძლებლობა.

ინტერესთა კვლევის კითხვარი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც პირადი, ასევე ორგანიზაციული მიზნებისათვის. ის შეიძლება გამოიყენოს ყველამ, ვისაც სურს გაიგოს მეტი საკუთარი თავის შესახებ, უფრო ნათლად დაინახოს საკუთარი შესაძლებლობები და გამოკვეთოს პირადი ინტერესები. კითხვარი ეხმარება პიროვნებას პროფესიის არჩევაში ან უკვე გაკეთებული არჩევანის სისწორის დადგენაში. დამსაქმებლებმა ან საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ასეთი კითხვარები შესაძლებელია გამოიყენონ შერჩევის, სამუშაოზე განაწილების, კონსულტაციების ან, თუნდაც, გარემო პირობების ცვლილების საჭიროების შემთხვევაში. კონსულტაციების დროს ინტერესთა კითხვარის გამოყენება ადამიანებს ეხმარება არა მარტო საკუთარი თავის უფრო კარგად ამოცნობაში, არამედ, აძლევს მათ სწრაფი, მიზანმიმართული განვითარების საშუალებას. მათ შეუძლიათ ადამიანების სტიმულირება შესაძლებლობების არეალის გაფართოების თვალსაზრისით.

აღნიშნული კითხვარების ერთ-ერთი პოპულარული და ფართოდ გამოყენებადი ფორმაა სამუშაოზე აყვანის პიროვნული კითხვარი (OPQ – Occupational personality questionnaire [6]. იგი შექმნილია იმისათვის, რომ გამოიკვლიოს და შეაფასოს ინდივიდის ის პიროვნული თვისებები და დამახასიათებელი ტიპური ქცევები, რომელთაც იგი უპირატესობას ანიჭებს სამუშაოს შესრულების პროცესში. აღნიშნული ტექნოლოგია ჩამოყალიბდა და პირველად გამოიყენეს 1984 წელს ბრიტანეთში. მას შემდეგ რეგულარულად ხდება მისი განახლება. იგი თარგმნილია და ადაპტირებულია მრავალ ენაზე (მათ შორის, ქართულად) და ფართოდ გამოიყენება საქმიან სფეროში. კითხვარს მრავალმხრივი გამოყენება აქვს: პერსონალის შერჩევა, განვითარება, სამუშაო ჯგუფის შექმნა, პროფესიული ორიენტაცია და ა.შ. მისი ყველაზე დეტალური და გამოყენებადი ვერსია არის OPQ32 მოდელი [6]. იგი ყოფს პიროვნების ტიპური ქცევის ასპექტებს დედუქციური გზით მიღებულ 32 შკალად, რომლებიც უკავშირდება ადამიანებთან ურთიერთობას, აზროვნების სტილს, გრძნობებსა და ემოციებს.

პიროვნული კითხვარის OPQ32 მოდელი იყენებს შეფასების ორგვარ მიდგომას: ა) ნორმატიული, რომელიც მოიცავს 1 - 5 რეიტინგულ შკალას ყოველი კითხვისათვის და ბ) იფსიტიური („forced choice“ – „იძულებითი არჩევანი“), რომელიც პიროვნებას აიძულებს გაამახვილოს ყურადღება მისი პიროვნებისთვის ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად მისაღებ ასპექტებზე.

ორივე მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები, მაგრამ ითვლება, რომ იფსიტიური მიდგომა უფრო ეფექტიანია ცდომილებების კონტროლის მხრივ. ეს მიდგომა ძირითადად გამოიყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების, აგრეთვე, მენეჯერებისა და სხვა სახის პროფესიონალების გამოკითხვისას. [5,6]

რაც შეეხება ინტერესების კვლევის კითხვარს, ეს ტექნოლოგია შეიქმნა 1989 წელს ბრიტანეთში. მას შემდეგ რეგულარულად ხდება მისი განახლება. ქართულად იგი ითარგმნა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში და ამავე კვლევის ფარგლებში მოხდა მისი ადაპტირება ქართული პოპულაციისთვის [5]. კითხვარი მოიცავს 19 დეტალურ პროფესიულ სფეროს და შედგება 228 კითხვისაგან (თითოეული სფეროსთვის 12 კითხვა). დეტალური სფეროები დაჯგუფებულია ინტერესთა იერარქიული მოდელის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია პროფესიული სფეროების შესაბამისი შკალების მოკლე აღწერა:

- *სამედიცინო სფერო:* ეს შკალა მოიცავს ისეთ ინტერესთა სფეროს, რომელიც გულისხმობს სამედიცინო განხრით მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენებას ავადმყოფების, ტრავმირებულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარების მიზნით და მოიცავს პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, მაგრამ ორიენტირებულია უფრო ინტერპერსონალურ, ვიდრე ტექნიკურ უნარებზე;

- *სოციალური უზრუნველყოფის სფერო:* ეს შკალა გულისხმობს ადამიანებთან ურთიერთობას მათი დახმარების მიზნით. იგი მოიცავს რჩევების მიცემას, დახმარებას, კონსულტირებას და ა. შ., მაგრამ არ მოიცავს ზრუნვას სამედიცინო კუთხით. შკალა ორიენტირებულია პერიფერიულ სოციალურ უზრუნველყოფაზე და არ მოიცავს პირდაპირ ზრუნვას, მაგალითად, ფონდების შექმნა, დაფინანსების მოძიება და სხვ.;

- *საგანმანათლებლო სფერო:* ეს შკალა ეხება ინტერესს საგანმანათლებლო პროცესებში. იგი ასახავს ინტერესის დონეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების სწავლების მიმართ - საბავშვო და დაწყებით სკოლებში, საშუალო სკოლებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში. ასევე, მოიცავს სასწავლო საქმიანობის განვითარებას, დაგეგმვას, ორგანიზებასა და კონტროლს;

- *კონტროლისა და მონიტორინგის სფერო:* ეს შკალა ასახავს ისეთ საქმიანობებს, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლისთვის გარკვეული რისკთან. მაგალითად, სამსახური შეიარაღებულ ძალებში, პოლიციაში, პენიტენციურ დაწესებულებებში, დაცვასა და ა. შ.;

- *კომერციული სფერო:* შკალა აღწერს საქმიანობებს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის და მომსახურების შესყიდვასთან, ფოკუსირებულია მოლაპარაკებების წარმართვასა და ვაჭრობაზე. იგი მოიცავს ყიდვა-გაყიდვას, მარკეტინგს, რეკლამირებას;

- *მენეჯერული სფერო:* შკალა განსაზღვრავს პიროვნების ორიენტაციას ისეთ სამუშაოზე, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანთა ინტეგრაციაზე საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით და ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფაზე. ასაკისა და გამოცდილების მატებასთან ერთად პროფესიული ორიენტაცია უფრო გამოკვეთილი ხდება;

- *ადმინისტრაციული სფერო:* შკალა ადგენს პიროვნების მოტივირების დონეს საქმისწარმოებით, საოფისე და სხვა რუტინული საქმიანობის შემთხვევაში;

- *იურიდიული სფერო:* შკალა განსაზღვრავს სიტყვების აკურატული და ლოგიკური წყობით ქცევის მართვისა და კონფლიქტების აღმოფხვრის მიმართ ინტერესის დონეს;

- *ფინანსური სფერო:* შკალა ადგენს რიცხვებთან მუშაობის, ეკონომიკასთან და მოგებასთან დაკავშირებული კომბინირებული ინტერესების დონეს;

- *მონაცემთა წარმოების სფერო:* შკალა აღწერს მოტივირების დონეს სტატისტიკისა და

მათემატიკის გამოყენებით პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის მიმართ;


- *საინფორმაციო სფერო*: შკალა განსაზღვრავს ინფორმაციის შეგროვების, დახარისხებისა და მოვლა/შენახვით დაინტერესების დონეს;
- *მედიისა და კომუნიკაციების სფერო*: შკალა ადგენს ინფორმაციის წერილობითი კომუნიკაციით დაინტერესების დონეს იდეების, გრძნობების, დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გაცვლის მიზნით;
- *ხელოვნებისა და დიზაინის სფერო*: შკალა აღწერს ისეთი ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკული გამოყენებით დაინტერესების დონეს, როგორცაა გრაფიკა, სამგანზომილებიანი დიზაინი, ფოტოგრაფია და ბეჭდვა;
- *ბიოლოგიური სფერო*: შკალა განსაზღვრავს ინტერესის დონეს ბიოლოგიურ მეცნიერება-თა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში მცენარეებთან და ცხოველებთან მიმართებით;
- *ფიზიკური სფერო*: შკალა აღწერს დაინტერესების დონეს სხვადასხვა ნივთიერებებთან დაკავშირებული კვლევებით, განვითარებითა და კონსულტაციებით;
- *ტექნოლოგიური პროცესების სფერო*: შკალა განსაზღვრავს წარმოებაში სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებით პროდუქციის შექმნით დაინტერესების დონეს;
- *მექანიკა/მანქანათმშენებლობის სფერო*: შკალა ადგენს მანქანა-დანადგარების შექმნით, მათი დიზაინით, მოხმარებითა და მომსახურებით დაინტერესების დონეს;
- *ელექტრობისა და ელექტრონიკის სფერო*: შკალა აღწერს ელექტრული სისტემებისა და ელექტრონიკის შექმნით, მათი დიზაინით, ინსტალირებით, მოხმარებითა და მომსახურებით დაინტერესების დონეს;
- *მშენებლობის სფერო*: შკალა განსაზღვრავს სამოქალაქო მშენებლობით, კონსტრუქციების შექმნით, დიზაინით, განვითარებითა და ამ სფეროში კონსულტაციებით დაინტერესების დონეს [6].

თანამედროვე, სწრაფად ცვალებად საბაზრო გარემოში აუცილებელია ახალგაზრდა თაობის დროული დახმარება მომავალი პროფესიული საქმიანობის არჩევაში, მისი მიზნების, მოთხოვნების დადგენაში, პროფესიული შრომის სულიერი და მორალური არსის გააზრებაში. ამიტომ, წინამდებარე კვლევის ობიექტად შევარჩიეთ მოსწავლე ახალგაზრდობა აბიტურიენტებისა და სტუდენტების სახით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცხრამეტმა აბიტურიენტმა და ოცდაცამეტმა სტუდენტმა, (სულ ცდის 52 პირი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამუშაოს მიზანია ინდივიდის მიერ გაკეთებული პროფესიული არჩევანის შესაბამისობის დონის დადგენა პიროვნების ინტერესებთან და საქმიან თვისებებთან. გამოყენებულ იქნა ზემოთ აღწერილი ორი სტრუქტურირებული კითხვარი. 1) პიროვნული თვისებების საკვლევი კითხვარი (230 კითხვა) და 2) პროფესიული ინტერესების საკვლევი კითხვარი (228 კითხვა). კვლევისათვის, ასევე, საინტერესო იყო თუ როგორ გააკეთა პროფესიული არჩევანი თითოეულმა ცდის პირმა. ამ მიზნით გამოკვლეულ პოპულაციას ეთხოვა დამატებით ეპასუხა შემდეგ ორ კითხვაზე: როგორ აირჩიეთ პროფესია? რატომ აირჩიეთ? 1-ელ ნახაზზე მოცემულია აღნიშნულ კითხვებზე გაცემული პასუხების სტატისტიკური მონაცემები.


**აბიტურიენტები:**



**როგორ აირჩიეთ პროფესია?**


1. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია	32
2. დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება, ყოველთვის მაინტერესებდა აღნიშნული სფერო	63
3. გადაწყვეტილება მივიღე ახლობელი ადამიანების კონსულტაციით	5

**რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?**



1. მსურს დავეხმარო ადამიანებს	5
2. ვთვლი რომ ეს სპეციალობა პრესტიჟულია	11
3. ყოველთვის მაინტერესებდა აღნიშნული სფერო	84


**სტუდენტები:**



**როგორ აირჩიეთ პროფესია?**

1. დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება, ყოველთვის მაინტერესებდა აღნიშნული სფერო	58
2. გადაწყვეტილება მივიღე ახლობელი ადამიანების კონსულტაციით	21
3. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია	21

**რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?**




1. ვთვლი რომ ამ სფეროში დასაქმება მარტივია	18
2. ვთვლი რომ ეს სპეციალობა პრესტიჟულია	15
3. ყოველთვის მაინტერესებდა აღნიშნული სფერო	55
4. ჩემთვის მთავარია უმაღლესი განათლება მივიღო	12

**ნახ.1. აბიტურიენტთა და სტუდენტთა პასუხების სტატისტიკა**




ამ კვლევის შედეგად გაკეთდა მოკლე დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები არჩეულ პროფესიასთან თითოეულ ცდის პირის შესაბამისობის შესახებ. ასევე, კვლევის საფუძველზე გაანალიზებული იქნა მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტების შესაბამისობის დონე არჩეულ პროფესიასთან, რომელიც გრაფიკული სახით მე-2 ნახაზზეა მოცემული.

**აბიტურიენტები:**



1. სრულად შეესაბამება	26
2. არ არის გამოკვეთილი შესაბამისობა	37
3. ნაკლებად შეესაბამება	37

**სტუდენტები:**



1. სრულად შეესაბამება	27
2. არ არის გამოკვეთილი შესაბამისობა	40
3. ნაკლებად შეესაბამება	33

**ნახ.2. ინდივიდთა პიროვნული ფაქტორების შესაბამისობა არჩეულ პროფესიასთან**

**3. დასკვნა**

კვლევამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მოსწავლე ახალგაზრდობისა და, განსაკუთრებით, აბიტურიენტების პროფესიული ორიენტირება და მათი დახმარება პროფესიის შერჩევაში ინტერესების, პიროვნული და ინტელექტუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, მითუმეტეს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში პროგრესულად ძლიერდება შრომის დიფერენცირებისა და პროფესიათა რაოდენობის ზრდის პროცესი. ასეთ პირობებში, თითოეული ადამიანის ინდივიდუალური უნარისა და შესაძლებლობების შესწავლა მოღვაწეობის სხვადასხვა სახესთან მიმართებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ასევე, მისი ცალკეული წევრისათვის. პროცესი ხელს უწყობს თითოეული ადამიანისათვის შესაძლებლობებისა და მიდრეკილების შესაფერისი პროფესიის შერჩევას მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დადებითი პროფესიული მოტივაციისა და შრომით მიღებული კმაყოფილების, შედეგად კი, ცხოვრებით კმაყოფილების ფორმირებაზე.

სამუშაოთა ამ ეტაპზე შემუშავებულია აღნიშნული კითხვარების გამოყენების

ალგორითმი და რეალიზებულია Google Form - ის პლატფორმაზე. სამუშაოთა შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილია შემუშავდეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის გამოყენების საფუძველზეც მოხდება, როგორც საინფორმაციო ბაზის შევსება, ასევე, შედეგების დამუშავება, რაც არსებითად შეუწყობს ხელს და გაამარტივებს კვლევის შედეგების ანალიზს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ინდივიდთა კონსულტირებისას პროფესიის არჩევის მიზნით, პროფორიენტაციისას, ასევე, ორგანიზაციებში თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობით მოტივაციის დონის შეფასებისას.

#### **ლიტერატურა – References – Литература:**

1. Maslow Abraham H. (1993). The Farther Reaches of Human Nature (PP 427)
2. Rogers Carl R. (1990). A Way of Being., p. 341
3. Watts A.G. (2010). Career guidance and orientation, p.239
4. Graham Lynda A.B. (2011). The counselling approach to careers guidance., p.205
5. Holdsworth R., Cramop L., Floyed L. (2006). Occupational Interest Inventories, Saville & Holdsworth Ltd. 3 AC Court, High Street., p.117
6. Occupational personality Questionnaires, SHL training academy. (2006)., p.150.

### **PROSPECTS FOR THE UTILIZATION AND DEVELOPMENT OF TOOLS FOR PROFESSIONAL ORIENTATION**

Dzidziguri Giorgi, Datiashvili Tinatin, Gongladze Shorena  
Georgian Technical University

#### **Summary**

The work is devoted to aspects of professional orientation and career development of the individual. In particular, how does his/her personal concept, particular talent, aspirations, motives and values influence person's career choice. The results of the study are presented that emphasize the need to choose a profession at an early age, taking into account the capabilities, inclinations and individual characteristics of the person. The research tools as well as the ways of their application and development prospects are discussed.

### **ПЕРСПЕКТИВЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ И РАЗВИТИЯ ИНСТРУМЕНТОВ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ОРИЕНТАЦИИ**

Дзидзигури Г., Датиашвили Т., Гонгладзе Ш.  
Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Работа посвящена аспектам профессионального и карьерного развития личности. В частности, как влияет личностная концепция человека, его конкретный талант, стремления, мотивы и ценности на выбор профессии. Приведены результаты исследования, которые подчеркивают необходимость выбора профессии с учетом возможностей, склонности и индивидуальных особенностей личности в раннем возрасте. Обсуждаются инструменты исследования, их использование и перспективы развития.